ლუგანსკი. “ავანგარდის” სტადიონი. 17 სექტემბერი.

“ზარია” (ლუგანსკი) - “დინამო” (თბილისი) 0:0.

“ზარია”: ტკაჩენკო, შულჟენკო, რაშჩუპკინი, აბრამოვი, ა. ჟურავლიოვი, ბ. ჟურავლიოვი, ნაზაროვი, მუსიენკო, ბ. სტრელცოვი, ლიტვინოვი, კუზნეცოვი (სატაევი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე (კუტივაძე), პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია (???), მესხი.

მსაჯი ი. ჩერნიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:1.

მატჩს არავითარი სიამოვნება არ მოუგვრია მაყურებლებისათვის, რომლებმაც საინტერესო ორთაბრძოლის მოლოდინში პირამდე აავსეს “ავანგარდის” სტადიონი. მარტო ის როდი გახლავთ, მეტოქეებმა ვერ აიღეს კარები 90 წუთის მანძილზე ვერც ერთი ¿ნამდვილად მწვავე და სახიფათო მომენტი ვერ შექმნეს. ორივე გუნდი მთელი მატჩის მანძილზე ?? ვალს უფრო იხდიდა, ვიდრე თამაშობდა, იბრძოდა.

დინამოელთათვის, რა თქმა უნდა 2 ქულა საჭირო იყო, რადგან ლიდერთა რიგებში გადასვლის შესაძლებლობას მისცემდა, მაგრამ 1 ქულაც არ უნდა ყოფილიყო ცუდი ნადავლი (გაიხსენეთ ჯერ კიდევ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ფეხბურთში საკუთარი კედლების უპირატესობას). მით უმეტეს, რომ გუნდი მომდევნო მატჩების ჩასატარებლად ლუგანსკიდან პირდაპირ შინ მიემგზავრება.

როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დინამოელთა განწყობა, რომელიც მატჩის მსვლელობაში უკვე ტაქტიკად იქცა. საკმაოდ რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი მასპინძლებს: სტუმრების ტექნიკური უპირატესობის ნეიტრალიზება. ამიტომაც, მათ შეხვედრის პირველსავე წუთიდან მიმართეს მეურვეობის იმ პრინციპს, კალათბურთელები პრესინგს რომ უწოდებენ.

სიმაღლიდან რომ დაგეხედათ სტადიონისთვის, შეამჩნევდით მოედნის ამა თუ იმ კუთხეში მდგარ წყვილებს, რომლებიც უჩვეულოდ სინქრონულად მოძრაობდნენ. თავისუფალ ფეხბურთელს (მეტწილად დინამოელთა შორის) შემთხვევით თუ მოჰკრავდით თვალს. მას უმალ უნდა ასდევნებოდა მეურვე მეტოქის ბანაკიდან. ცხადია, სწორედ ასეთმა ტაქტიკამ განაპირობა მატჩის მეტად მდორე პულსი.

ერთგვარი გამოცოცხლება შესამჩნევი გახდა შეხვედრის მიწურულში. გააქტიურდნენ ფლანგები, ათამაშდა ნახევარდაცვა, მაგრამ ორთავე საჯარიმო მოედანი კვლავ შეუვალი იყო. ლუგანსკელებმა ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ორი კუთხური ჩამოაწოდეს, მაგრამ რეალური საფრთხე დინამოელთა კართან არ შექმნილა.

მსაჯმა 78-ე წუთზე შეკამათებისათვის მინდვრიდან გააძევა კუტივაძე.

ნ. ტორმოზოვი.
“ლელო”, 1968 წ.